პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOI SSR

სამშაბათი, 4 ივლისი, 1950 წ. № 142 (8702). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

უძლეველია ჩვენი ქვეყანა — მოწვნავე (1-ლი გვერდი).

ჩვენი ქვეყნის მშრომელები გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებას კორეელი ხალხის წინააღმდეგ! (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

უქანასკნელი ცნობები (1-ლი გვერდი).

საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით აუჭერენ ხელს ბტოკჯოლის მოწოდებას (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი გენერალის ტერიტორიაზე ამერიკის თვითმფრინავების მიერ კორეორადოს ხოზოს ჩამოვარის გამო (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ეკონომიური ურთიერთობისათვის (მე-2 გვერდი).

პროფესორი ვ. ბანანი — მხრინ. ბანადგურების ისტორიული ტიპები (მე-3 გვერდი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ პაკ ხენ ენის განცხადება (მე-3 გვერდი).

ხელს ნუ ახლებთ კორეას! (მე-4 გვერდი).

ჩვენი ქვეყნის მშრომელები გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებას კორეელი ხალხის წინააღმდეგ!

მიტინგები თბილისის საწარმოებში

აგრესორთა ზარახვები განწირულია ჩასაფუშავად

კორეის სამშვიდობო ამერიკელ იმპერიალისტთა თავხედური საბრალო ჩარევის გამო მთელი მსოფლიოს მშრომელთა მიერ გამოკვეთილ გულისწყრომასა და პროტესტს თავის ხმას უერთებს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი.

მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებაზე ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. მელაძემ განაცხადა:

—ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც ომის მოპობედებას აღარ სჯერ დებიან და აგრესიის პირდაპირ ატეხებზე გადავიდნენ, სერთ კორეა თავიანთ კოლონიად აქციონ, დაიმონონ კორეელი ხალხი. ამერიკელმა იმპერიალისტებმა ყანუებმა, რომლებიც წაეცხეს ეს სინ მანის ფაშისტური ბუოა, ავანზაური ინტერვენცია მოაწყეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ. მთელი მსოფლიოს მშრომელები მოითხოვენ: კორეის ბატონ-პატრონი მხოლოდ კორეელი ხალხი უნდა იყოს, ხელი არ ახლოთ კორეას!

ტრიბუნაზე საინსტრუმენტო საამქროს კომკავშირული ბ. ზაზაძეა. იგი ირების დამსწრეთ მიმართავს:

— ჩვენი ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დაძაბეულს ლმობიერება და გულისწყრომა გამოთქვა ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედების გამო. ჩვენ აღვაფიორთვნებთ კორეის სახალხო-დემოკრატიული არმიის მეომართა გმირობა, რაც მოწმობს იმას, რომ თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს საკმაო ძალები აღმოაჩნდა ამერიკელ აგრესორთათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

— მრავალტანჯული კორეელი ხალხი, — ამბობს სამკვიდლო-თერმული საამქროს უფროსი ამხ. ლ. ნადირაძე, — წლების განმავლობაში იაპონელ იმპერიალისტთა უღელქვეშ გმინავდა. გმირი საბჭოთა არმიის დახმარებით კორეელმა ხალხმა ეს უღელი მოიშორა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ჩრდილოეთ კორეიდან თავისი ჯარები გამოიყვანა, ამერიკელები გაბაგრომდგნენ სამრეთ კორეაში პარპაშს, მეაყროწიეს ლი სინ მანის მარიონეტული "მთავრობა" და კორეაში ძმათა-მკვლელი ომისთვის გამოიშვირეს. ამერიკელებს სურთ ისტორიის ჩარხი უკუღმა ტატრიალონ, კვლავ დაადგან მთელი ხალხის ღელეი კორეელ ხალხს. მაგრამ ეს არ მოხდება.

ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ ატის გამო თავიანთი აღშფოთება გამოთქვეს მეკანიკური საამქროს ოსტატმა ე. გოგიჩაიძემ და ქარხნის მომარაგების განყოფილების უფროსმა ა. იარალოვმა.

ერთხმად მიღებული რეზოლუციით ქარხნის კოლექტივი მოითხოვს: დაუყოვნებლივ შეწყდეს ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა სამხედრო ჩარევა კორეის საქმეებში!

ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ

დიდძალი ხალხი შეიკრიბა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშათა კლუბში, აქ მოვიდნენ მუშები და მოსამსახურეები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რათა თავიანთი გულისწყრომა გამოეხატათ ამერიკის იმპერიალისტების მიერ კორეის სანთნაო საქმეებში უხეში ჩარევის გამო.

სიტყვას პირველი ამხობს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსი ამხ. გ. სიხარულიძე.

— ამერიკის იმპერიალიზმმა,—თქვა მან, — მთელ მსოფლიოს წინააღმდეგ გამოაშფოთა თავი, როგორც პირფეკვარი ნადავლის აგრესორმა. ის თავის შეიარაღებულ ძალებს ახმარს კორეელ რეაქციონერებს, რათა გაელეტყოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კორეელი ხალხი. ჩვენ, მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ადამიანები, მხურვალედ თანავუგრძნობთ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კორეელ ხალხს და ვგმობთ ამერიკის აგრესორებს.

სტახანოველმა მუშამ ამხ. ს. იოსებაშვილმა, გაბოხტა და თვალი ჯოლეტიკის ახრი, განაცხადა:

— ჩვენთვის ძვირფასია მშვიდობა, ძვირფასია ყოველი მშვიდობიანი წუთი, საათი, რადგან ჩვენ ვაშენებთ ახალ ცხოვრებას, კომუნიზმს. მთელი ცნობიერის იმპერიალისტებს ეშინიათ მშვიდობისა. გრძნობენ რა თავიანთი აღსასრულის მოახლოებას. ისინი თავის გადარჩენას ახალი ომის გაჩაღებაში ეძებენ. ომის გამჩაღებელთა გეგმებს ჩაფიშვავენ დემოკრატიის ძალები. ჩვენ გვსურს მშვიდობა და ამას დავაშტკიცებთ ჩვენს საძუშაო უბნებზე თავდადებული შრომით, შრომის ნაყოფიერების გაზრდით.

— ამერიკის და ინგლისის მთავრობებმა, — თქვა ტროლეიბუსის სახელოსნოების ცალის ოსტატმა მ. ჩაჩანოვმა, — ეხობანეს თავიანთ საზღვაო ფლოტებს ბომბი დაუშინონ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კორეელ ხალხს, გაელეტონ მშვიდობიანი მოსახლეობა: ქალები, ბავშვები და მოხუცები. ამერიკის და ინგლისის იმპერიალიზმის თარეში უნდა ადიკეთოს.

სიტყვას იღებს ვაგონშემკეთებელი სახელოსნოების სამჭედლო საამქროს უფროსი ამხ. ვ. ბოჩკოვი.

— მსოფლიოს უბრალო ადამიანებს, — ამბობს ის, — შეუძლიათ დაიცვან მშვიდობის საქმე. ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვიბრძვით მშვიდობისათვის და საბჭოთა ხელისუფლება ამ საქმეში ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას.

კრებაზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში გამოხატულია მთელი კოლექტივის პროტესტი ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ კორეაში და გადაწყვეტილება — მძლავრად გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება წლეიბრი გეგმების 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად, თავდადებული შრომით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოციალისტური მეურნეობის მოწინავეების — სოციალისტური შრომის გმირების ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

1949 წელს თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, სსრ კავშირის უმაღლესის პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად **დაჯილდოებულ იქნას:**

ლენინის ორდენით

1. **ბიგვავა** ალექსი გრიგოლის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მებრიგადეკი, მოსწყვიდა 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარზე „სამსუნის" № 27 ჯიშის 17 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა.

2. **გოჩილაშვილი** გიორგი ალექსანდრეს-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" თავმჯდომარე, რომელმაც 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე „ტრაპიზონის" ჯიშის 28,8 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა.

3. **ჯობავაშვილი** გიორგი გრიგოლის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" ბრიგადირი, რომელმაც 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე „ტრაპიზონის" ჯიშის 28,9 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა.

4. **ლომიძე** ანტონინა ვასილის ასული — სოციალისტური შრომის გმირი, ლაგოდეხის რაიონის ტელქანის სახელობის კოლმეურნეობის მებრიგადირი, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე „ტრაპიზონის" ჯიშის 28,4 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა.

5. **სახვიაშვილი** ზაქარია გიორგის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მებრიგადირი, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე „ტრაპიზონის" ჯიშის 28,7 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა.

6. **შელია** ეკატერინე იაკობის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 13,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე „სამსუნის" ჯიშის 16,9 ცენტნერი № 27 თამბაქო მოიყვანა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 3 ივლისი.

უკანასკნელი ცნობები

კორეის სახალხო არმია წარმატებით მიიწევს სამხრეთისაკენ

ფხენიანი, 3 ივლისი. (საქდანი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობის ცნობები, სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობენ წეწებას და დარტყმებს აყენებენ უკანასკნელი მოწინააღმდეგეს.

1 ივლისს სახალხო არმიის ჯარებმა გადალახეს მდინარე კინი (სანანი) 60 კილომეტრის 38-ე პარალელის სამხრეთით. ამ მიმართულებით სამხედრო ნაწილებმა, წინ წაიწიეს სუფთის აღმოსავლეთით 20 კილომეტრზე და დაიკავეს პენჭენდელე და განაგრძობენ სამხრეთისაკენ შეტევას.

2 ივლისს სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს სამხრეთ ცენტრი ხენანი და მის მიმდებარე კაჭუნის პროვინციის რაიონები (30 კილომეტრზე ხოხენის სამხრეთით) და შეუდგნენ ვონდუის მაზრაში.

2 ივლისის გამთენიისას სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს 20-ზე მეტი სოფლის ცენტრი და 400-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

სახალხო არმიამ, რომელიც მოსწყდა მოწინააღმდეგის გაქცეულ ჯარებს, 2 ივლისის 18 საათზე მთლიანად გაათავისუფლა სამხრეთ ცენტრი ვონდუი და მისი გარშემოხვევა და განაგრძობს წინსვლას. სახალხო არმიის სხვა ნაწილებმა 2 ივლისის დღით გაათავისუფლეს იანგხეონის მაზრა (ვენჯის პროვინცია) და სამხრეთისაკენ მიიწევენ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ავიაცია კვლავ ბომბავს მტრის ჯარებსა და ავტოკოლონებს სეულსა და სუვონს შუა და თავს დაესხა სუვონის აეროდრომს. მტრის სამხედრო ტრანსპორტს და სამხედრო ხელულ-სუვონის მთავარ გზატკეცილს.

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. (საქდანი), როგორც ოფიციალურ პრესის საგანგებო კორესპონდენტი გადმოუცემს, კორეაში ამერიკის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი მაკარტური ხელმძღვანელობს ომას, რომ მდგომარეობა სამხრეთ კორეაში „არც თუ ისე კარგია", ვინაიდან ჩრდილოეთ კორეის ჯარები, რომელმაც მდინარე კინი გადალახეს, მიიწევენ სეულის სამხრეთით და აღმოსავლეთით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის ჯარებმა მიიღეს ბრძანება „რაც შეიძლება მალე" წაიწიონ ჩრდილოეთისაკენ" და შეეხვდნენ კორეის მოახლოებულ ჯარებს.

მაკარტურის სპეციალური საგანგებო, სიტყვით, რომ ამერიკის ჯარებმა შეძლეს ხაიმარ მოკმედებაში მონაწილეობის მიღება ორ დღეზე ადრე.

უძლეველია ჩვენი ქვეყანა

ცხრა წლის წინათ, 1941 წლის 3 ივლისს, ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერელი ავაზაკების თავდასხმის 10 დღის შემდეგ, რადიოთი გამოვიდა დიდი სტალინი.

„...სამწუხარო ეხება, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლის, ხალხ კაჟმარის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს, საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, რათა საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და ეცნობიერონ თავისი ძალა და მოახდინონ თავისი თავის მობილიზება და გადაჭრნან მთელი თავიანთი მუშაობა ახალ, საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა".

თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა გადაშალა მომავალ გრანდიოზულ ბრძოლათა და გამარჯვებათა დიდი გეგმა. დიდი სტალინის მოწოდებით ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების გარშემო მჭიდროდ დაიკრიბნენ საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია. ომმა უფრო მეტად გაასალდეკა ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მტერზე გამარჯვებისაკენ წარმართა მთელი მათი ძალები.

ბრძოლისა და გამარჯვების სტალინური გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა ადამიანების თავდადებულ და შეთანხმებულ მოქმედებას ფრონტზე და ზურგში. თვითეული გოჯი საბჭოთა მიწა-წყლის დაცვა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მთელი ძალების მობილიზება მტრის განსაოგადურებლად, მტრისა და მის ხელშეწყობითმთის ატანილი პირობების შეკრძა, საბჭოთა ქვეყნის შორეულ რაიონებში უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოების გადატანა—ასეთი იყო ამოცანები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დაუსახა საბჭოთა ხალხსა და მის არმიას. ამ ამოცანების შესრულება, შეიძლო მხოლოდ დეკამორ საბჭოთა ხალხს, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ნამდვილად უძლიერესი საბჭოთა სახელმწიფო — საბჭოთა სახელმწიფო. და ამ ამოცანების შესასრულებად საბჭოთა ხალხს წინ გაუძღვა ლენინ-სტალინის პარტია, ბოლშევიკები გამოწრთობილი პარტია, რომელიც სისხლსორცეულად არის დაკავშირებული თავის ხალხთან.

დაიდი სტალინური გენიის სიფუძველზე მომზადდა გარდატეხა დიდი სამამულო ომის მსვლეოებაში. ომის დაწყების უკვე ხუთი თვის შემდეგ დიოხეულად ითქვა, რომ ბტლის სურიობული უპირატესობა ჰქონდა ჰიტლერულ არმიას. ამ ბრძოლებში ჰიტლერელმა არმიამ განიცადა პირველი სასტიკი დამარცხება მოსკოვის მისადგომებთან, ხოლო ერთი წლის შემდეგ დაიწყო და ბრწყინვალედ დამთავრდა ომების ისტორიაში უმაგალითო ბრძოლა — სტალინგრადის ბრძოლა, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ომის ბედი. სტალინგრადის ბრძოლა იყო მეორე მსოფლიო ომში ძირეული გარდატეხა, იგი მოსაწვავედდა გერმანიის არმიის მზის ჩასვეხებას და მისი განადგურების დასაწყისს. სტალინგრადის შემდეგ საბჭოთა არმიამ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია კურსკთან, რამაც გერმანიაში „კატასტროფის წინაზე დააყენა. დაიწყო გერმანელთა მასობრივი განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან. მეორე ფრონტს, რომლის გახსნას სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველთვიურად ამაიერებდნენ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები, არავითარი ცვლილება არ შეუტანია ომის მსვლეოებაში. საბჭოთა არმიამ საკუთარი ძალებით ღირსეულად შეასრულა დიდი სტალინის დაკალება და გამარჯვების ღროშა აიფრიალა ბერლინში.

დიდ სამამულო ომში გამარჯვება და თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცეს საბჭოთა სახელმწიფოებრივობა წყობილებამ, საბჭოთა სოციალისტურმა სისტემამ. საბჭოთა ხალხს სტალინურმა მეგობრობამ, სტალინურმა სამხედრო მეცნიერებამ, თავის გენიალურ სიტყვაში ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ იმ საყოველთაო-სახალხო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყანისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ".

საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა გმირმა არმიამ ბრწყინვალედ შეასრულეს ეს ამოცანა. ფაშიზმის მიერ დამონებული ქვეყნებში კომუნისტური და შუშთა პარტიების მეთაურობით, საბჭოთა არმიის მხარდაჭერით და დახმარებით ფართოდ გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დამთავრდა ევროპის ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნების განთავისუფლებით და სოციალიზმის გზაზე დადგომით. გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებამ გადაწყვეტი როლი შეასრულა ჩინეთისა და კორეის სახალხო რესპუბლიკების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში, კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაში.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო ომი დამთავრდა და ამ პერიოდში ჩვენ ბევრი გაკეთებულა საბჭოთა ხალხმა შეძლო არა მარტო მოეშენებინა ომით მოყენებული ძნიშე ჭრილობები, არამედ უდიდესი ნაბიჯიც გადადგა წინ. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, 1947 წელს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის დონემ გადაჭარბა ომამდელ დონეს. სოფლის მეურნეობამ წარმატებით გადალახა სიძნელეები, გადაჭარბა მარეკულ პრობლემა და შექმნა წინაპირობები მეცხოველეობის უმაგალითო აღმავლობისათვის. ომამდელ დონეს დიდი ხანია გადაჭარბეს იმ რაიონებმაც, რომლებმაც გერმანელი დამპყრობლების ოკუპაცია განიცადეს. განეშენებულა ეთიოპეება და ახალ მშვენიერებს იპყრობს საბჭოთა მეცნიერება, კულტურა.

ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული გამარჯვებები, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმატებები შეშფოთებული არიან ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ეშვებიან ახალი მსოფლიო ომისათვის აღეარის ახსნილ მზადებას.

მაგრამ ეშვი არაა, რომ მათი გეგმები ისევე დაიშხეკება როგორც ჰიტლერელ ავაზაკთა გეგმები დაიმსხრა. ხალხთა მსაფის არ სურთ ომი. ისინი მოისწრაფიან მშვიდობისაკენ, დემოკრატიისაკენ. ისინი ძალას და ეგერგას არ იშურებენ, რათა გზა გადაუღონ მომხი გამჩაღებელთ, შეუძლებელი გახდეს ახალი ომი. ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანები აწუხებ ხელს მშვიდობის მოძრაობის მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას, რომელიც მოითხოვს ატომური იარაღის— ადამიანთა დაშინებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას და მტკიც საერთაშორისო კონტროლის დაწესებას მასზე, იმ მთავრობის სამხედრო დანაშაულად გამოცხადებას, რომელიც პირველი იხმარს ატომურ იარაღს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ. მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა კარგად იციან, რომ **„თუ იმპერიალისტებმა ახალი მსოფლიო ომი გაახარეს, ეს გარდუვალად გამოიწვევს ისეთ საყოველთაო წინააღმდეგობას მშვიდობისმოყვარე ხალხებისა და მთელი დემოკრატიული ბანაკის მხრივ, რომ ამას შედეგად მოჰყვება არა ამა თუ იმ ავრესიულ სახელმწიფოთა უბრალო დამარცხება, როგორც დღემდე იყო, არამედ მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემის ლიკვიდაცია"** (ვ. მოლოტოვი).

დღითი დღე იზრდება მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები, რომელთაც დიდი საბჭოთა ხალხი, ლენინ-სტალინის პარტია, ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი მეთაურობს. ეერაფერი შეაჩერებს ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმისაკენ. მშვიდობის ძალები უძლეველნი არიან. ლენინის დროშით, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდი მებაძეს ხალხად სტალინის წინამძოლობით ჩვენ ავაშენებთ კომუნიზმს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ბალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავეების—სოციალისტური შრომის გმირების ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოების შესახებ

1949 წელს **სიმინდის** უხვი მოსავლის მოყვანისათვის, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად **დაჯილდოებულ იქნას:**

ლენინის მეორე ორდენით

1. **გოგობია** ვლადიმერ ახლოს-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 62 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 95,6 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

2. **რიგვავა** ძუძუ მიხეილის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 32 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 102 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 3 ივლისი.

საომარი მოქმედება კორეაში

ლონდონი, 3 ივლისი. (საქდანი). რეიტერის საგანგებო ტოკიოური კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩრდილოეთ კორეის ქვეითმა ჯარებმა შეიოულიონ მდინარე კინის (სანანი) და რომ მდგომარეობა „არც თუ ისე კარგია".

გენერალ მაკარტურის სუვონის სექტორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუშინ ღამით ჩრდილოეთ კორეის ორმა სატანკო კოლონამ გადალახა მდინარე კინი (სანანი) და შეუტია სეულ-სუვონის მთავარ გზატკეცილს.

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. (საქდანი), როგორც ოფიციალურ პრესის საგანგებო კორესპონდენტები გადმოუცემენ, კორეაში ამერიკის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი მაკარტური ხელმძღვანელობს ომას, რომ მდგომარეობა სამხრეთ კორეაში „არც თუ ისე კარგია", ვინაიდან ჩრდილოეთ კორეის ჯარები, რომელმაც მდინარე კინი (სანანი) გადალახეს, მიიწევენ სეულის სამხრეთით და აღმოსავლეთით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის ჯარებმა მიიღეს ბრძანება „რაც შეიძლება მალე" წაიწინონ ჩრდილოეთისაკენ" და შეხვდნენ კორეის მოახლოებულ ჯარებს.

მაკარტურის სპეციალური საგანგებო, სიტყვით, რომ ამერიკის ჯარებმა შეძლეს ხაიმარ მოკმედებაში მონაწილეობის მიღება ორ დღეზე ადრე.

საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ანერგენ ხალს სტოკჰოლმის მოწოდებას

★ ★ ★

ქართველ მწერალთა სიტყვა

ჩვენ არ გვეშინია ომის, მაგრამ შეუპოვრად და თანმიმდევრულად ვიბრძოლებთ მშვიდობის დასაცავად, რადგან ხალხებს მშვიდობა და ბედნიერება სწყურიათ, — ამ ლოზუნგით ჩაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებასთან დაკავშირებით მიღებულმა კრებამ საქართველოს სსრ საბჭოთა მწერლების კავშირში.

— ქართველი მწერლები, — თქვა მიტინგის გახსნისას მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანმა ალმ. ი. ჩხეიძემ, — მხურვალედ მოიწონებენ სტოკჰოლმის მოწოდებას და ხმას მისცემენ რა მშვიდობას მთელ მსოფლიოში ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ ჩვენს დარაზმულობას ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის გარშემო.

— მრისხანე სამამულო ომის წლებში, — განაცხადა გ. ნატროშვილმა,— ქართველი პოეტები, პროზაიკოსები, მხარში ედგნენ ქართველი მებრძოლების პატრიოტული ფიცისადმი ერთგულ ურთიერთობას. საბჭოთა მწერლების სიტყვა ყველა სანგარს სწვდებოდა და აღაფრთოვანებდა მებრძოლებს. ქართველი მწერლები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად არ გაუშვებენ ხელიდან დიადვაროს ფიცს და ყველანაირად ეროსულ

მჭრის განადგურების ისტორიული გეგმა

ცხრა წლის წინათ, 1941 წლის 3 ივლისს, საბჭოთა ხალხის დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა რადიოთი მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის გამო. ამ ისტორიულ გამოსვლაში ამხანაგმა სტალინმა სსრ კავშირის ხალხებს მოუწოდა დაეცვათ სოციალისტური სამშობლო.

ამხანაგ სტალინის გამოსვლა რადიოთი გახდა ძალის გამანადგურებელი ფიცის მიცემის დროს. ეროვნული კულტურისა და ეროვნული ხელშეწყობის დანგრევა, მემადლეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების აღდგენისა და გერმანელი თავადების და ბარონების მონებად საბჭოთა ადამიანების გადაქცევის საფრთხე. „ამრიგად,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს; საქმე ეხება იმას, თუ ვისი ხელი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ“.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა „კავშირის ომი კატასტროფის ტიტანიკად იყო ყველაზე სმართლიანი ომი, ომი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლების და დამოკიდებლობისათვის, ომი ოჯახობრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა დაცვისათვის, ომი ნამდვილი დემოკრატის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალისტური შრომის გამარჯვებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ საბჭოთა პოლიტიკა ყოველთვის იყო მშვიდობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა ზუსტად დაცვის პოლიტიკა. ეს არის საბჭოთა სოციალისტური წყობილების უდიდესი მორალური უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე, ავაზაკური იმპერიალიზმის წინაშე, რომელიც თავხედურად თელავს საერთაშორისო თანაშრომლობის საფუძვლებს.

ფაშისტური გერმანიის, რომელიც მოულოდნელად და ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, მოკლე ხნით მიაღწია ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას თავისი ჯარების ომისათვის მობილიზაციის თვალსაზრისით. მაგრამ მან წააგო პოლიტიკურად, გამოამეფთხა თავისი თავი მთელი მსოფლიოს თვალში, როგორც პირსისხლიან ბატონად ჩაეწერა ისტორიაში. „უპვე არ არის,—ამბობდა მაშინ ამხანაგი სტალინი,—რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისთვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური ომიგება კი ცენტრალური ფაშისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჰიტლერულ გერმანიას თავისი მთელი ბინძ

ხელს ნუ ახლებთ კორეას!

ბერნი, 2 ივლისი. (საქ‹ნი). შორიახლო პარტიის გაზეთებმა პარტიის სამდღიანის შემდეგი განცხადება გამოაქვეყნეს:

„შვეიცარიის შორიახლო პარტიის სამდღიანმა 29 ივნისს ცენტრალი გამართული სხდომაზე განიხილა პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც გამწვავდა 30 მაისის ბონგენში დამარცხებული სამხრეთ კორეის პარლამენტული მთავრობის პროვოკაციის შედეგად, მთავრობისა, რომელიც დღეგრძელ ჩაღა ომის გაჩაღებელთა სამხედრებში და გაანაღა სისხლიანი ავრცია. ეს პოლიტიკური მდგომარეობა გამწვავდა აგრეთვე 30 ივნისის არიან არა მარტო კორეის კონფლიქტში, არამედ შორეულია აღმოსავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევის შედეგად.

ეს პროვოკაციები და ეს ჩარევა ომის შედეგია, რომ ამას წინათ საშინაო კორეას ეწეოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველი ფოსტერ დალესი.

მაკარტურის მიერ იაპონიის კომუნისტური პარტიის აკრძალვა კვლავ ადასტურებს, რომ ამერიკის იმპერიალისტები ყველა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ერევა და ხელს უშლიანენ ყოველ ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც ამ ქვეყნის ხალხებს აძლევს საშინაო საქმეების დამოუკიდებლად წარმართვის შესაძლებლობას.

„ჩვენი სამშობლოს დასავლეთში დღითი დღე უფრო და უფრო აშკარად წარმოდეს სამხრეთ კორეის ისტორია. მხოლოდ შვიდიოდე კვირის განმავლობაში ოთხი ომის გაჩაღებას. შეფიქრებს ქვეყნის ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას, — აცხადებს ქვეყნის სამხედრო ექსპერტი ფილიპ ჯესუპი. ამ ომის მსხვერპლი ამერიკის ჯარისკაცები უნდა გახდნენ. ამერიკის ხალხი ამ ომის წინააღმდეგ არის. ამერიკის ხალხი ამ ომის წინააღმდეგ არის. ამერიკის ხალხი ამ ომის წინააღმდეგ არის